დინამოელთა ფრე

„დინამო“ (თბილისი) – „ჩერნომორეცი“ (ოდესა). 1:1 (0:1).

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 39.000 მაყურებელი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე (მუჯირი), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ცავა), ჟვანია, შენგელია.

„ჩერნომორეცი“: ჟეკიუ, სიჩი, ლეშჩუკი, ბულანკინი, პლოსკინა, სკრიპნიკი, ბელანოვი, უსტიმჩიკი, გორიაჩევი (შარი), შალომაი, იშჩაკი (ჟარკოვი).

მსაჯი: ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გოლები: შალომაი, პლოსკინა (საკუთარ კარში).

ახლა, როცა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი ფინიშის სწორზე გავიდნენ, ლიდერთა ყოველგვარ წაფორხილებას შეუძლია საბედისწერო როლი შეასრულოს მედლების (უმთავრესად ვერცხლისა და ბრინჯაოს) განაწილებაში. ამიტომაც ისინი ყოველ თამაშს მთელი სერიოზულობით ეკიდებიან და ცდილობენ უდანაკარგოდ წარმართონ მატჩები. მაგრამ არის გუნდების მთელი ჯგუფი – თითქმის ლიგის ნახევარი, რომელსაც ასპარეზობის ამ მონაკვეთზე სულ სხვა საზრუნავი გაუჩნდა, – სურს როგორმე უძლიერესთა რიგებში მოიკიდოს ფეხი. აუტსაიდერებს უკან დასახევი გზა აღარ აქვთ და თავდაუზოგავად იბრძვიან მიზნის მისაღწევად.

მათ შორისაა თბილისის „დინამოს“ გუშინდელი მეტოქე ოდესის „ჩერნომორეცი“, რომელსაც ამ დღეებში ძალზე მძიმე ტურნე მოელის, ჯერ ერევანში შეხვდება ადგილობრივ „არარატს“, რომელიც მის ბედს იზიარებს – ჯერჯერობით თავი ვერ დაუღწევია სახიფათო ზონისათვის, შემდეგ კი მოსკოვში იქაურ „სპარტაკსა“ და „დინამოს“ ეთამაშება.

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ გუშინდელი შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართებოდა, მაგრამ მატჩის პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ მინდორზე სხვადასხვა კლასის კოლექტივები გამოვიდნენ.

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე სხვადასხვა კლასის გუნდები იყვნენ, პირველი წუთიდანვე ნათელი გახდა, რომ მხარეები იოლად არ დათმობდნენ თამაშს. ამასთან თუ აქტიურობას მივიღებთ მხედველობაში, ამ მხრივ სტუმრები გამოირჩეოდნენ, რომლებიც ჭარბი ძალებით ებმებოდნენ მინდვრის სხვადასხვა უბნებზე ბრძოლაში.

ის–ის იყო თამაში დაიწყო, რომ ოდესელთა თავდამსხმელი გორიაჩევი გაუსხლტა მეთვალყურეებს და მასპინძელთა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. ამას მისივე თავური დარტყმა მოჰყვა შორეულ მაღალ კუთხეში, რომელსაც დროზე მისწვდა გაბელია. სულ მალე დინამოელები ხანგრძლივ იერიშზე გადავიდნენ. აქ ცხადი გახდა, რომ ოდესელები პრესინგის საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი კარის უვნებელყოფას, რასაც აღწევენ კიდეც – შენგელიას, გუცაევის, განსაკუთრებით კი ჟვანიას გარღვევებს შედეგი არ

მოჰყოლია.

25–ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა თავიანთ საჯარიმოზე ბურთის დამუშავების საშუალება მისცეს შალომაის და სტუმრებმა გახსნეს ანგარიში.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე თბილისელებმა გაშლილად შეუტიეს „ჩერნომორეცის“ კარს და მარჯვენა ფრთიდან შენგელიას ჩაწოდებული ბურთი ოდესელთა მცველმა პლოსკინამ საკუთარ ბადეში ჩაჭრა – 1:1. ეს ანგარიში თამაშის დამთავრებამდე ძალაში დარჩა.

უ. მიქელაძე.

„ლელო“, 27 სექტემბერი 1981 წ.